პირველად გურიაში – საკრებულოს სხდომის ტრანსლაცია „ონლაინ“ რეჟიმში

დაესწარით სხდომებს სახლიდან გაუსვლელად

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 მაისის სხდომა „ონლაინ“ სატესტო რეჟიმით გადაიცა. ამიერიდან მოსახლეობას უკვე სახლიდან გაუსვლელად შეეძლება თვალი ადევნოს საკრებულოს სხდომებს, ჩაერთოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და კომენტარების სახით ისაუბროს მისთვის საინტერესო საკითხებზე. როგორც სხდომაზე აღნიშნეს, „ონლაინ“ ჩვენების შემდეგ სხდომების ჩანაწერების დაარქივება მოხდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე www.ozurgeti.org-.ge. თითოეულ მოქალაქეს საკრებულოს სხდომების ჩანაწერის ნახვის შესაძლე-ბ-ლობა მიეცემა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების „ონლაინ“ ტრანსლირება ხდება პროექტის „მართე სახლიდან“ ფარგლ-ებში, რომელსაც ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი „ევრაზიის“ თანამშრომლობის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან პარტნიორობით.

ინოვაციური და საჭირო! ასე შეაფასეს საკრებულოს წევრებმა სიახლე, რომლის დანერგვითაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ღია მმართველობას განახორციელებს.

მშენებლობათა სანებართვო პირობებისთვის

სხდომაზე განიხილეს და მხარი დაუჭირეს „მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე, აქტის გამოცემის (მასში ცვლილების სეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის გადახდის წესისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

დებულებას, დანართის სახით, პრიმა მუხლი მიუსადაგეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 ოქტომბრის სხდომაზე ცვლილება შეიტანეს „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში. დებულებას, დანართის სახით, დაემატა შემდეგი შინაარსის 341 მუხლი:

– გამგებელი ვალდებულია წელიწადში ერთხელ, აპრილის თვის პირველ პარასკევს, მოაწყოს საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და წარუდგინოს მათ წერილობითი ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, აგრეთვე უპასუხოს ანგარიშის განხილვისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს;

– ანგარიში გამგებლის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს სპეციალური ფორმის მიხე-

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №40 (10130), 12 ოქტომბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ქალაქ ოზურგეთის ქუჩები ალარ იტბორება

ალიონი. წელს პირველი შემთხვევაა, როცა გადაუღებელი წვიმის მიუხედავად ქალაქი არ დატბორილა. ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ქალაქის მერიამ ზაფხულის პერიოდში განახორციელა, წარმატებით დასრულდა. ყველას ახსოვს უამინდობის დროს დატბორილი ქალაქის ქუჩები და გმირთა მოედანი, როდესაც მოძრაობა პარალიზებული იყო და მოსახლეობამაც მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. პროექტმა, რომელიც მდინარეების გაწმენდასა და გასწორხაზოვნებას, სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობას მოიცავდა, უამინდობისას ქალაქის ცენტრალური ნაწილის წყლისგან განმუხტვა უზრუნველყო

როგორ განვითარდა მოვლენები ნასაკირალის საჯარო სკოლაში და რაზე გაუნაწყენდა გაზეთ „ალიონს“ სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

ალიონი. დაბა ნასაკირალში საპროტესტო აქცია დასრულდა. საჯარო სკოლაში სწავლა განახლდა. ამირან შავაძის შვილები სკოლას დაუბრუნდნენ. სკოლის ყოფილმა დირექტორმა სპარტაკ გოგიტიძემ საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანების წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მკითხველებს შევახსენებთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (№1/კ 595 30.09. 2015 წ.) შესაბამისად, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის დირექტორს სპარტაკ გოგიტიძეს შეუწყდა შრომითი ურთიერთობა.

ამას საპროტესტო აქცია და სკოლის ყოფილი სამეურვეო საბჭოს წევრების ამირან და გურამ შავაძეების ფიზიკური შეურაცხყოფა და შემდეგ დაკავება მოჰყვა. შავაძეების წინააღმდეგ საქმე სსს კოდექსის 239-ე მუხლით აღიძრა. სასამართლომ მათ წინასწარი პატიმრობის სანაცვლოდ, გირაოს სახით 6 000-6 000 ლარის გადახდა დააკისრა.

მომდევნო დღეებში სკოლაში სწავლა განახლდა. ამირან შავაძის 4 შვილი, რომლებიც მიმდინარე წლის 23 მარტის შემდეგ სკოლაში არ დადიოდნენ, სკოლას დაუბრუნდნენ.

ლელა იმედაშვილი:– ჩვენ არ ვერევით სკოლის შიდა საქმიანობაში. სკოლას სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორი მართავს. სამწუხარო ფაქტია. სპარტაკ გოგიტიძის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა აქციებით არ მოხდება. ეს არასწორი ფორმაა. აღდგენის სა-კითხს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტს.

როზა გოგუაძე, განათლებისა და მეცნიერების პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე: –7 ოქტომბერს სკოლაში ვიყავი. სწავლა ნორმალურად მიმდინარეობდა. პედაგოგები სპარტაკ გოგიტიძეს მხარს უჭერენ და მის გათავისუფლებას ამჟამად სიტყვიერად აპროტესტებენ. შავაძის ბავშვები სკოლას დაუბრუნდნენ.

ვასილ ხომერიკი, სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონალური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: – ჩვენ შავაძის ბავშვების მიერ სკოლის დატოვების პირველივე დღიდან ჩართული ვიყავით მათ სკოლაში დასაბრუნებლად. გარკვეული მოსაზრებების გამო, უკიდურესი ზომების მიღებას ვერიდებოდით. ბავშვები უკვე სკოლაში დადიან. ნასაკირალის მოსახლეობა სკოლის დირექტორის, სპარტაკ გოგიტიძის გათავისუფლებას აპროტესტებს. სასურველი იყო სკოლას და დაბის მოსახლეობას თავის დროზე დაეკავებინა ერთიანი პოზიცია და ბავშვები უფრო ადრე დაბრუნებოდნენ სკოლას...

ამირან შავაძე: –„უსამართლოდ მომექცნენ. უმოწყალოდ მცემეს. სკოლასთან რამდენიმე ადამიანი მირტყამდა. ერთ-ერთი მ. ი-ძე იყო. არ უნდა დაეკითხათ? მკტარი ვიყავი, სასწრაფო-სამედიცინო დახმარება რომ მოვიდა. ხერხემალი და ნეკნები მაქვს დაზიანებული. „მედალფას“ კლინიკიდან ოზურგეთის პოლიციაში წამიყვანეს დაკითხვაზე. ხულიგნობის მუხლი მომიყენეს. ბათუმის ციხეზე ისეთ მდგომარეობაში მიმიყვანეს, ციხის ადმინისტრაციამ არ მიმიღო. ექსპერტიზა ჩამიტარეს. ცალ ფეხზე ვერ ვდგები, დაზიანებული მაქვს“.

–როგორ შეხვდნენ ბავშვებს სკოლაში?

– „კარგად მიიღეს. არასდროს მიფიქრია, ბავშვებს სკოლა დაეტოვებინათ. ჩემი მოთხოვნები რაც იყო, ყველა გაზეთი წერდა“...

გასულ ოთხშაბათს სკო-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ლაითურში ზარალს ითვლიან

როგორც ცნობილია, 3 ოქტომბერს, 20 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაი-თურში სტიქია მოხდა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურში განაცხადეს, რომ დაბა ლაითურში ზარალის დათვლას სპეციალური კომისია შეუდგა.

„ამ დროის მონაცემებით, დაზიანებულია 35-მდე მრავალბინიანი და კერძო საცხოვრებელი სახლი. ძლიერი ქარისა და უხვი ნალექის გამო მწყობრიდან გამოვიდა ელექტრო გადამცემი ხაზები. დაზიანებულია გაზსადენი მილი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და გამგებლის მოადგილე ბადრი გობრონიძე ლაი-თურში დილიდან იმყოფებიან და დაზარალებულ მოსახლეობას ხვდებიან. ზარალის ზუსტი რაოდენობა ხვალ დილისთვის გახდება ცნობილი" – აცხადებენ მუნიციპალიტეტში.

პროფკავშირულმა ორგანიზაციამ პედაგოგები დააჯილდოვა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციამ (ხელმძღვანელი როზა გოგუაძე) ტრადიციას არც წლეულს უღალატა და პროფესიული დღესასწაული მიულოცა ჭარმაგ, ღვაწლმოსილ პედაგოგებს: ლუბა კიღურაძეს და ნუნუ კუნჭულიას (№1 საჯარო სკოლა); დარეჯან დათუნაშვილსა და ნინა ჟღენტს (დვაბზუ); ლამარა თავდიშვილს (ძიმითი); მერი გოგუაძეს (№5 სკოლა), დუშა დარჩიას (სილაური) და მათ სამადლობელი ბარათები და საჩუქრები გადასცა.

პროფესიული დღესასწაულის აღსანიშნავად კი ექსკურსიით დაჯილდოვა ბახვის საჯარო სკოლის პედაგოგები, ასევე №4 საჯარო სკოლის გამარჯვებული პედაგოგი რებეკა გოგიბერიძე.

ლელა დვალიშვილი.

სილაურის კულტურის სახლი რეაბილიტირებულია

სოფელ სილაურში, ხანძრის შედეგად დაზიანებული კულტურის სახლის რეაბილტაცია დასრულდა. ახლადგარემონტებული შენობა, სადაც საბავშვო ბაღი, ამბულატორია და ბიბლიოთეკა იყო განთავსებული შარშან დაიწვა. შე-ნობის ხელახალი რეაბილიტაცია დასრულებულია.

ქ. ოზურგეთში ინფრასტრუქტურული საშუშაოები გრძელდება

ინფრასტრუქტურული პროექტები ოზურგეთში ჩვეულ ფაზაში გრძელდება. ქალაქის მერი, ბეგლარ სიორიძე საკრებულოს თავმჯდომარესთან, გელა კობალაძესთან ერთად სამუშაოების მიმდინარეობას . აქტიურად მიმდინარეობს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ნიკოლაძის ქუჩაზე, სადაც ასფალტის საფარს ქალაქის მერიის ტენდერში გამარჯვებული კომპანია ''black sea group'' აგებს. პარალელურად, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გრიბოედოვის, გურიის, ჭანტურიასა და ჩანჩიბაძის ქუჩებზე მიმდინარეობს. სულ მალე გზის დაგება თაყაიშვილის მეორე ჩიხშიც დაიწყება, სადაც გზა ბეტონის საფარით განახლდება. ნაპირსამაგრი სამუშაოები მიმდინარეობს თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე მდინარეზე. 46 მეტრის სიგრძის გაბიონი მოსახლეობის პრობლემას, უამინდობის დროს მდინარის ადიდებასთან დაკავშირებით, საბოლოოდ გადაჭრის. ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება სანიაღვრე არხების მოწყობა გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე კორპუსებთან. აღნიშნული არხები ცხაურებით დაიფარება და წვიმის დროს ეზოების წყლით განმუხტვას უზრუნველყოფს.

მერია-ლაითურის ხიდის მშენებლობა დეკემბრის ბოლოსთვის დასრულდება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მერია-ლაითურის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდისა და სოფელ მერიაში უსახლკაროებისთვის საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოები დღეს გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ მოინახულა.

საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს ''უნივერსალი'' ახორციელებს. პროექტის ღირებულება 1 370 000 ლარს შეადგენს. 150 მეტრი სიგრძის ხიდის მშენებლობა გეგმაგრაფიკის მიხედვით სრულდება. აღნიშნული სამუშაოები ნოემბრის ბოლოსთვის დასრულდება.

სოფელ მერიის უსახლკაროთა საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს „ატომბუდნაგლიადი'' ახორციელებს. საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დასრულდება. პროექტის ღირებულება 674 000 ლარს შეადგენს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახების პრობლემა წლის ბოლომდე გადაიჭრება. პროექტით 90 ოჯახი ისარგებლებს.

საქართველოს მთავრობა და „ქართუ“ მსოფლიო დონის სამეცნიერო ინსტიტუტებთან ითანამშრომლებენ

საქართველოს მთავრობა და საქველმოქმედო ფონდი „ქართუ'' ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფუძნების სფეროში მსოფლიო დონის სამეცნიერო ინსტიტუტებთან ითანამშრომლებს-აღნიშნულ პროექტზე პრემიერ–მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ ადრონული თერაპიის პროექტის კომისიის სხდომაზე იმსჯელეს.

თვეების წინ დაწყებულმა კონფლიქტმა პიკს მიაღწია

ლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ნინელი მიქაძემ გაზეთ „ალიონის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიას „თვეების წინათ დაწყებულმა კონფლიქტმა პიკს მიაღწია, “ არაზუსტი უწოდა.

—კონკრეტულად რა იყო არაზუსტი?

—ჩემი სახელით დავიწყოთ. მე ნანა კი არა ნინელი მქვია (როგორც შემდეგ გავიგეთ, ორთავე სახელს ატარებს, ნინელი ოფიციალური სახელია). გარდა ამისა, არასწორია ბოლო წინადადება, სადაც წერია, რომ მე ამ კონფლიქტით მოგებული დავრჩები, რადგან ჩემი მეუღლე ზაზა ცეცხლაძე დირექტორის მოადგილეა და იგი სპარტაკ გოგიტიძეს ჩაანაცვლებს.

— ქალბატონო ნინელი, ჩვენ შევეცადეთ თქვენგან მიგვეღო კომენტარი, მაგრამ თქვენ „მობილური მეთიშებაო“ მითხარით და ორჯერ გავითიშეთ მობილური. სტატიას ვამზადებთ და ახლა მაინც დაგვეხმარეთ. განათლების მინისტრის ბრძანების ასლი გაგვაცანით, რომ გათავისუფლების ზუსტი მიზეზი ვიცოდეთ.

—არ ვარ ვალდებული გაგაცნოთ. სამეურვეო საბჭოს სხვა წევრს დაურეკეთ..

—კი, მაგრამ ეს ხომ საჯარო სკოლაა და გვაქვს უფლება სკოლის დირექტორის გათავისუფლების მოტივს ვიცნობდეთ. წინა კვირაში ოზურგეთის განათლების რესურსცენტრს ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ ბრძანების ასლი უკვე თქვენთვის ჰქონდათ გამოგზავნილი..

—ოფიციალურად მომწერეთ და განვიხილავთ...

პარასკევ დილით საქართველოს განათლების სამინისტროს ცხელ ხაზზე დავრეკეთ 0322 200 200. (ეს საუბრები სამინისტროში იწერება).საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტს ვთხოვე დახმარება.

—სამსახურის უფროსს გავაცნობ თქვენს თხოვნას და აუცილებლდა დაგიკავშირდებითო, —თუმც მოლოდინი ამაო გამოდგა.

კითხვებზე იმიტომაც გვინდოდა პასუხები, რომ საუბრობდნენ, რომ სკოლის დისკრედიტაციას აქვს ადგილიო.

ამ დროს კი ჩნდება კითხვები: ვინ მიიყვანა ამ მდგომარეობაში სკოლა, ვინ გაუკეთა ბავშვების და მშობლების ერთდროულად გამოსვლას ორგანიზება, ვის ჰქონდა საბუღალტრო საბუთებზე წვდომა და ა.შ.

ზოგიერთ კითხვაზე პედაგოგებს ვთხოვეთ კომენტარი.

ეთერ მენაბდე: —ისე ვარ დაბნეული, შორიდან ვუყურებ ამ კონფლიქტს. ვერ ვხდები რა ხდება. ამირან შავაძეს და მის დასაც ვასწავლიდი. დედამისს ყოველთვის ჰქონდა პრეტენზია შვილების ნიშანთან დაკავშირებით. თუ სამიანს ნას დავწერდი, ოთხი რატომ არ დაუწერეო. თუ ოთხს დავწერდი, მაშინაც პრეტენზია ჰქონდა. მაგრამ ეს პრეტენზიები არასდროს არ მისულა საჩივრამდე. ის, რომ სკოლის

მოსწავლეები ჩაერთვნენ კონფლიქტში, არ მიმაჩნია სწორად. როცა ცემა-ტყეპა გაჩაღდა, მეც ვიყავი გამშველებელთა შორის. ამირან შავაძის დედას ქვა ეკავა ხელში და აქტიურად იყო ჩაბმული კონფლიქტში.

ჩვენ შეკითხვით მივმართეთ სკოლის პედაგოგს ავთო ბერიძეს, რომელიც პირდაპირობითა და ობიექტურობით არის ცნობილი, თუ რა გახდა სკოლის დირექტორის გათავისუფლების მიზეზი და ვის ჰქონდა წვდომა სკოლის საბუღალტრო საბუთებთან...

ავთო ბერიძე: —თუ ორი პედაგოგი 3 დღით წავიდა თურქეთში, სკოლას პრობლემა არ შექმნია. ამის შესახებ ოზურგეთის რესურსცენტრშიც იცოდნენ. მე გეოგრაფიის მასწავლებელი ვარ და ნუგ-ზარ ვაშაყმაძის გეოგრაფიის საათები მე ჩავატარე; ხოლო სპორტის მასწვლებლის ჯამბული ირემაძის გაკვეთილებიც არ გაცდენილა.

—საბუღალტრო საბუთებთან ვის ჰქონდა წვდომა. ვინ იცოდა დარიცხული ხელფასების შესახებ?

—საბუღალტრო საბუთებთან წვდომა დირექტორის და და ბუღალტერის გარდა, ჰქონდათ სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ნინელი მიქაძეს და საქმეთამმართველ თამილა ვაჩეიშვილს.

—ქალბატონ ნინელის სხვა სახელიც აქვს?

—კი ნანაც ჰქვია.

ზაზა ცეცხლაძე, ნასაკირალის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: —სკოლაში ახლა მუშაობა ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. სპარტაკ გოგიტიძე არ ეთანხმება საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ და შესაბამისი სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, რა დადგენილებას გამოიტანს სასამართლო..

გვინდა წერილი ერთი ლამაზი მოგონებით დავასრულოთ: 2013 წლის 15 ნოემბერს, დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლაში ტოლერანტობის დღე ჩატარდა. ღონისძიებას ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ხელმძღვანელები და ჟურნალისტები ესწრებოდით. სკოლის მოსწავლე საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებმა გურულებმა, აჭარლებმა, მესხებმა თავიანთი კუთხის ნობათი და ხალხური შემოქმედება ისე მომხიბლავად წარმოადგინეს, რომ აღტაცებულები ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით.

იმედია, სკოლის ზოგიერთი პედაგოგი ამბიციებს დაიცხრობს (მით უმეტეს, პასუხგაუცემელი კითხვები არის) და ისევ დაუბრუნებს ნასაკირალის ტრადიციული სკოლა ძველ სახელს.

პირველად გურიაში – საკრებულოს სხდომის ტრანსლაცია „ონლაინ“ რეჟიმში

დვით, რომელსაც, გამგებლის წარდგინებით, ამტკიცებს საკრებულო;

— გამგებელი ვალდებულია ანგარიშის წარდგენის თარიღის, ადგილის და დროის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, აგრეთვე საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე — ანგარიშის წარდგენა არანაკლებ 7 დღით ადრე მაინც;

— გამგებლის ანგარიშის მოსმენა ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ან სხვა საჯარო სივრცეში, ან მასმედიის ელექტრონული საშუალებებით (მაგალითად, სატელევიზიო ეთერში ინტერაქტიური უკუკავშირის გამოყენებით);

— გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური ვალდებულია გამოაქვეყნოს გამგებლის ანგარიშის ტექსტი მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ანგარიშის წარდგენიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში;

— თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ამომრჩეველს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს გამგებლის ანგარიშის საჯარო მოსმენას;

— ანგარიშის მოსმენის შემდეგ, შეხვედრაზე დამსწრე ამომრჩევლებს ეძლევათ საშუალება, გამოთქვან თავიანთი შენიშვნები და წინადადებები და შეაფასონ გამგებლის საქმიანობა.

სხდომაზე დაამტკიცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ამომრჩევლისათვის წარსადგენი ანგარიშის ფორმაც.

დამტკიცდა უძრავი და მოძრავი ქონების ნუსხა

სხდომაზე დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საკრებულოს განკარგულებას „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი და მოძრავი საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

თანხმობა გამგებელს ძირითადი ქონების გასხვისებისთვის

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ედ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 121-ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 14 სექტემბრის №2502 მომართვაში წარმოდგენილ მოქალაქეებზე მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ძირითადი ქონების გასხვისების მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცების შესახებ“.

ფრაქცია ხელახლა დარეგისტრირდა

რამდენიმე თვის წინ გაზეთი „ალიონი“ იუწყებოდა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება — ეროვნული ფორუმი“ დაიშალა მას შემდეგ, რაც დეპუტატმა ტიტე მგელაძემ ფრაქციის რიგები დატოვა (ფრაქციაში მინიმუმ სამი დეპუტატი უნდა იყოს გაერთიანებული). ამჯერად ბატონი ტიტე დეპუტატმა როზეტა სკანკოჩაიშვილმა ჩაანაცვლა და ფრაქცია ხელახლა დარეგისტრირდა. როგორც სხდომაზე სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ეროდი გორდელაძემ განაცხადა, „კოალიცია ქართული ოცნება- ეროვნული ფორუმის“ მიერ ფრაქციის დასარეგისტრირებლად წარმოდგენილი მასალები შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ცნობისათვის როზეტა სკანკოჩაიშვილი მაჟორიტარი დეპუტატია სოფელ დვაბზუდან, რომელმაც დატოვა ფრაქცია „ქართული ოცნება“ და შეუერთდა ფრაქცია „კოალიცია ქართული ოცნება - ეროვნულ ფორუმს“. ამ ფრაქციას კვლავ ბონდო ღლონტი უხელმძღვანელებს.

ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შეთანხმების შესახებ

დებატები მოჰყვა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შეთანხმების შესახებ“ მისაღები განკარგულების განხილვას.

ამ საკითხზე თავისი არგუმენტირებული მოსაზრებები წარმოადგინა სოფელ ნატანების მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სიხარულიძემ. მისი აზრით, საკითხი უფრო ღრმად შესასწავლია, აქ აჩქარება დაუშვებელია, საქმის კურსში უნდა ჩავაყენოთ კერძო მესაკუთრეები, მათი გარკვეული ნაწილი კი რუსეთსა და სხვა ქვეყნებშია წასული. კერძო მესაკუთრეთა ინტერესების გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია დილემის წინაშე დაგვაყენოს და ამის შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს ეკონომიკის სამინისტროს.

სიხარულიძის მოსაზრება გაიზიარეს შემოქმედის მაჟორი-ტარმა დეპუტატმა ხვიჩა წულაძემ და საკრებულოს რამდენიმე წევრმა.

საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მესამე ეტაპის შეთანხმებას წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე დაევალა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას.

დეპუტატებმა ასევე დადებითი შეფასება მისცეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების (მოედნების, სკვერების, ბულვარების), მრავალბინიანი სახლების, სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მორიგი ცვლილებებია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 ოქტომბრის სხდომაზე ცვლილებები შეიტანეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში.

სულ შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტი გაიზარდა 696185 ათასი ლარით.

1. გაიზარდა შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) 750 000 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის №1881 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 750 000 ლარი. მათ შორის:

– პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად – 750 000 ლარი;

2. გაიზარდა შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები 28 000 ლარით;

კერძოდ:

– შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 7000 ლარით;

– შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან – 15 000 ლარით;

– შემოსავალი პროცენტებიდან – 6000 ლარით.

შემცირდა:

1. შემოსავლის ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) – 81 815 ათასი ლარით;

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუმცირდა დაფინანსება 81 815 ათასი ლარით. მათ შორის:

– პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხა – 51,815 ათასი ლარით;

– საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა – 30,0 ათასი ლარით.

შესაბამისად შემცირდა საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები – 51,815 ათასი ლარით;

– საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა – 30,0 ათასი ლარით;

გაიზარდა:

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები – 750,0 ათასი ლარით;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა სოციალური დახმარების ნაწილში – 8,0 ათასი ლარით;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გარე განათების ხარჯი, ელექტროენერგიის ხარჯის ნაწილში – 20,0 ათასი ლარით.

ასევე დაზუსტდა საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.გ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების წესის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მარტის №15 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის №982(25/09-/2015) ბრძანების შესაბამისად:

შემცირდა:

– საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა – 4,8 ათასი ლარით;

შესაბამისად გაიზარდა:

– სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების დაფინანსება, სოციალური დახმარება სასაქონლო ფორმით – 4,3 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, მიმდინარე რემონტის ხარჯის ნაწილში – 0,5 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მორიგი ეტაპი იწყება

ამჯერად ქალაქ ოზურგეთში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მორიგი ეტაპი იწყება. უახლოეს დღეებში ერისთავის, დოლიძის, გაბრიელ ეპისკოპოსისა და თაყაიშვილის ქუჩებზე ტროტუარების რეაბილიტაცია დაიწყება.

ქალაქის მერმა, ბეგლარ სიორიძემ, მერიის სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, აღნიშნული ქუჩები მოინახულა და ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურების ხელმძღვანელებს გარკვეული მითითებები მისცა.

ხსენებული ქუჩების ორივე მხარეს ტროტუარები და ბორდიურები სრულიად მოწესრიგდება. სამუშაოებს ქალაქ ოზურგეთის

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატზე ურეკში

დაბა ურეკში საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი ჭადრაკში გუშინ დასრულდა, რომელშიც რვა რეგიონის კლუბები მონაწილეობდნენ.

ჩემპიონატის მეოთხე ტურში კიდევ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა. დამსახურებული გამარჯვება, მინიმალური ანგარიშით, ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ-კახეთთან შეხვედრაში გურულმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს. მატჩში 3 ფრე დაფიქსირდა, ხოლო გამარჯვება გუნდს ალექსანდრე ებრალიძემ და ქეთევან ხომერიკმა მოუტანეს.

საკლუბო ჩემპიონატი ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით, სამხარეო ადმინისტრაციის, ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ტარდება.

შეჯიბრი 4 ოქტომბერს დაიწყო და 11 ოქტომბერს საზეიმოდ დაიხურა. ჭადრაკის ფედერაცია საქართველოს საკლუბო ჩემპი-ონატს დაბა ურეკში მეორე წელია ატარებს.

ოზურგეთის „მერცხალს“ კვლავ პრობლემები მოეძალა

ალიონი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის (პირველი ლიგა) უკვე რვა ტური ჩატარდა და „მერცხალმა“ მხოლოდ 8 ქულის მოპოვება შეძლო.

გასულ პარასკევს, „მერცხალმა“ გასული სეზონის ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს წალენჯიხის „სქურს“ უმასპინძლა. წალენჯიხელებს გასუ-ლი სეზონის შემდეგ აშკარად გაუძლიერებიათ გუნდი და ყველაფერი გააკეთეს ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩსი სასურველი სედეგის მისაღწევად.

„მერცხალის“ ფეხბურთელები (ორი-სამი გამონაკლისის გარდა), რატომღაც ფიზიკურად მოუმზადებლები ჩანდნენ, ძალიან მარტივ სიტუაციაში თმობდნენ ბურთს, საკუთარ საჯარიმოში სახიფათოდ თამაშობდნენ და აკი დაისაჯნენ კიდეც, სტუმრების ერთ-ერთი კონტრშერევა 66-ე წუთზე ნემო შელიამ გოლით დააგვირგვინა.

ოზურგეთელთა მცდელობა, გადაერჩინათ მატჩი და თუნდაც ქულა აეღოთ უშედეგოდ დასრულდა. მათი შეტევები ძირითადად მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მთავრდებოდა.

მატჩს ქალბატონებიც ესწრებოდნენ. ერთ-ერთი თავის პატარასთან ერთად თემურ შარაშენიძის მეუღლეც იყო. იქნებ მის მეუღლეს არ ეკუთვნოდა საყვედური, მაგრამ „მერცხალმა“ მატჩის დამთავრებამდე გადაუწურა გულშემატკივრებს შედეგის დადების იმედი.

მატჩის შემდეგ გუნდის მთავარ მწვრთნელს ხარიტონ ჩხატარაშვილს ვთხოვეთ კომენტარი. ისე იყო გამწარებული, ორიოდ სიტყვით გვითხრა: – 1600 -ლარიანი (იგულისხმა თვიური ხელფასი) ვერ დებდნენ შედეგს და 700-ლარიანი ფეხბურთელი უკეთ ითამაშებს?

„მერცხალი“ ამ დღეს შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა: ტყეშელაშვილი, ჩიგოგიძე, ისიანი, ბერიშვილი, ციკოლია, ჭკუასელი, შარაშენიძე, მაჭავარიანი, დიდია, (ხინთიბიძე), კუკავა (მესხი).

8 ტურის შემდეგ გათამაშებას 20 ქულით აჩაბეთის „ლიახვი“ ლიდერობს. „სქურს“ ამ მოგების შემდეგ 15 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა. „მერცხალი“ (2 მოგება, ორი ფრე, 4 წაგება. ბ/შ 8:15) 8 ქულით მე-13 ადგილზეა

მე-9 ტურში „მერცხალი“ ქედაში „ბეთლემს“ შეხვდება.

მერაბ კოსტავა: „...არანაირი თანამდებობა არ მექნება. მე ვიქნები მუსიკის მასწავლებელი და ხანდახან ანკესითაც ვითევზავებ. ესაა ჩემი ოცნება“

დღეს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებლის მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღეა. 90-იანი წლების №1 ერისკაცი ოზურგეთელი კოლორიტი მხატვრის გერონტი ღლონტის ოჯახს მეგობრობდა და ზოგჯერ სტუმრობდა კიდეც. ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ბატონი გერონტის მეუღლის, ქალბატონ ზოია თავაძის მოგონებას.



ნოდარს (იმნაძეს) ხშირად უხდებოდა ჩვენთან შემოვლა. აღზევდა ეროვნული მოძრაობა. ბათუმში ნოდარი ატარებდა მიტინგებს. თუ თბილისში ან ქუთაისში იყო რაიმე მნიშვნელოვანი, ყოველთვის მიდიოდა. ჩვენს ეზოს ისე არ ჩაუვლიდა, რომ არ დაეძახა. შემოვი პატიჟებდით. „მეჩქარებაო“, უარს ამბობდა. მერე იტყოდა, ათი წუთით შევისვენებო, მაგრამ ზოგჯერ მთელ ღამეს რჩებოდა. სულ ვიღაც ახლდა, ცოლი, ან შვილი, ან ვიღაც სხვა. დავახლოვდით ოჯახები. საოცრად საუბრობდა, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. ზეპირად იცოდა თითქმის ყველა კარგი ქართული ლექსი. ჩემს შვილებს ძალიან აინტერესებდათ ეროვნული მოძრაობის ამბები და არ ასვენებდნენ შეკითხვებით.

ერთხელ თქვა, მე აუცილებლად მოვიყვან თქვენს ოჯახში ზვიადსაც და მერაბსაც, გერონტის სახელოსნო და ეზო-კარი უნდა ვანახოო. ჩემი შვილები მოუნათლავნი იყვნენ. სოფოს მე მოვნათლავ, თამუნას მერაბს მოვანათვლევინებო.

1988 წლის დეკემბერია. შუაღამისას რაღაც ხმაურმა გამომაღვიძა. გავიხედ-გამოვიხედე. გერონტი არაა. ხმაური დაბლიდან ამოდის. მივხვდი – სახელოსნოში სტუმრებია. ამ დროს თბილად ჩაცმულ-დახურული გერონტი შემოვიდა, მეუბნება, ადექი, რამე გაამზადე, მერაბ კოსტავაო.

ჩავედი. სახელოსნო შიშით, თან კრძალვით შევაღე, ჩემთვის ილია ჭავჭავაძე იყო. იმ დროს შევდგი ფეხი, მერაბი ერთ ნახატთან იდგა, ზურგით ჩემსკენ. ახლაც ყურში ჩამესმის მისი ხმა: „ამქვეყნად ღვთის გარეშე არაფერი ხდება. უფალმა ინება, რომ ამაღამ აქ მოვხვედრილიყავი, ეს ნახატები და ეს ოჯახი გამეცნო“.

ნოდარმა უთხრა: „ეს გერონტის მეუღლეა“. მერაბმა გულში ჩამიკრა და თქვა: „ასეთებმა გადაარჩინეს საქართველო!“

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. პურმარილიც მშვენიერი გავაწყვეთ (ჯერ მხოლოდ 88 წელი იყო). „ღვინოს ბევრს ვერ დავლევთ, გვეჩქარება, დილით ადრე ბათუმში მიტინგი უნდა ჩავატაროთო. გერონტიმ სამლიტრიანი ბოთლით ხვანჭკარა შემოიტანა (ლეჩხუმიდან ჩამოტანილი). ასგრამიანი კერამიკის ჭიქით სვამდნენ. ბიჭები (ზოგი შიგ, ზოგი გარეთ) ფეხზე იდგნენ. ჭიშკართან სამი უცხო მსუბუქი მანქანა იდგა. მერაბმა ბიჭებს უთხრა: „წადით, ის ბიჭები შემოიყვანეთო. გერონტი წავიდა, მე უფრო წამომყვებიანო. ჩუმად მეც გავყევი. გერონტიმ უთხრა ჭიშკართან მყოფებს (ერთ მანქანაში ისხდნენ, რა ვიცი, რამდენი იყვნენ): „არ გაგიგონიათ, თქვენ, თხა და მგელი ერთგან ძოვდესო, წამოით ახლა სახლში, მოკტებით აქანე შიმშილითო“. არ წამოვიდნენ. მაშინ ჭი-შკართან მივიტანეთ რაღაცები. „ჩვენ საჭმელ-სასმელიც ბევრი გვაქვს და ყველაფერიო“, მხოლოდ თხილი და მანდარინი დაიტოვეს.

სახელოსნოს კარებთან, გარეთ და შიგნით, ბიჭები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, იარაღი წელზე ეკიდათ. მაშინ რა ვიცოდი, თურმე, მერაბის მცველები იყვნენ.

წავიდა ნელ-ნელა სადღეგრძელოები. საქართველოს სადღეგრძელო რომ დალიეს (ნოდარი თამადობდა), ქეთინომ, ნოდარის მეუღლემ, ისეთი სიტყვა თქვა, ყველა განცვიფრებული უყურებდა. მერაბმა უთხრა ნოდარს: „სად იშოვე, ბიჭო, შენ, გურულმა ამისთანა კახელიო“. უცებ მერაბს შავი ღვინო დაეწვეთა პერანგის საყელოზე. ძალიან ანერვიულდა. ქეთინომ უთხრა: „ნუ ნერვიულობთ, ბატონო მერაბ, ჩავალთ თუ არა ბათუმში, მაშინვე გამოვაშორებ თქვენს „სარჩქას“ მაგ ლაქას და სწრაფად გავაშრობო“. „მართლაო?!“ – გაუხ-არდა მერაბს.

ბიჭებმა ბევრი შეკითხვა დაუსვეს მერაბს. ისიც ზოგს პასუხობდა, ზოგს - არა. ყველაზე მეტად ეს შეკითხვა დამამახსოვრდა: „თუ საქართველო დამოუკიდებელი გახდება, თქვენ ხომ იქნებით პრეზიდენტიო“. - არავითარ შემთხვევაში, არანაირი თანამდებობა არ მექნება. მე ვიქნები მუსიკის მასწავლებელი და ხანდახან ანკესი-თაც ვითევზავებ. ესაა ჩემი ოცნებაო“.

ლაპარაკ-ლაპარაკში დილის 7 საათიც გახდა. უცბად ადგნენ, გამოგვემშვიდობნენ და წავიდნენ.

ბათუმში რომ ჩავიდნენ და ქეთინომ მერაბის პერანგი გარეცხა და გაზქურის ზემოთ გაფინა გასაშრობად, ატყდა თურმე კარებზე ბრახა-ბრუხი და ყვირილი, ჩქარა დატოვეთ ბათუმიო.

წამოცვივდნენ, მერაბს ნოდარის პერანგი ჩააცვეს და წავიდნენ თბილისში.

მერე... ნოდარი რომ „სასიკვდილოდ“ წასულა, ის პერანგი ჩაუცვამს. როცა ნოდარს ასაფლავებდნენ, გერონტიმაც მიიღო მის შესუდვრაში მონაწილეობა.

მერაბის პერანგი ტყვიებისგან ნაფლეთებად იყო ქცეულიო. ის პერანგი და გერონტისგან ადრე ნაჩუქარი სვანური ქუდი ჩაატანეს კუბოში. მერე ვსაყვედურობდი გერონტის, წამოგეღო ის პერანგი, უკეთესი რელიქვია რა გექნებოდა სახელოსნოში-მეთქი..

ზოია თავაძე

მადლობა ყურადღებისათვის!

2006 წლიდან მე და ჩემი შვილი ვცხოვრობთ ქალაქ ოზურგეთში, იოანე პეტრიწის ქუჩაზე მდებარე 12-სართულიან სახლში, ოროთახიან ბინაში. აქედან ერთ ოთახს ვერ ვსარგებლობდით, რადგან მისი კედლები წვიმისა და თოვლის წყლისაგან საშინლად სველდებოდა.

ქალაქის ამჟამინდელმა მერმა ბატონმა ბეგი სიორიძემ მოგვხედა, მისი ძალისხმევით ჩვენს სახლის საწვიმარი მხარე მთლიანად დაიფარა თუნუქით.

ამით ჩემს ოჯახს, ასევე სხვა მობინადრეებსაც დიდი საჭირბოროტო პრობლემა მოგვიგვარა.

მადლობა მას ამისთვის.

ნინელი შეწირული.

განცხადება

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნა შოთა გოგიბერიძე.

პარტიის ოფისმა განაახლა საქმიანობა მისამართზე: ქ. ოზურგეთი, იოანე პეტრიწის ქ. №1 (თორმეტსართულიანი).

ორგანიზაციის მხარდამჭერების საყურადღებოდ: ოფისი მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00 საათიდან 18.00 საათამდე.

ტელ. 598 100 936; 599 424 412.

სამადლობელი

რამდენიმე თვის წინ ცუდად შევიქენი., აუცილებელი გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება. მომათავსეს ოზურგეთის სამედიცინო ცენტრ „ალფაში“, რეამინაციის განყოფილებაში.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ არა „ალფას“ ექიმების მაღალი პროფესიონალიზმი და დიდი ძალისხმევა, დღეს ცოცხლებში აღარ ვეწერებოდი.

თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდ მადლობას ვუხდი: ექიმებს – კახა კუპრაძეს, გია ცინცაძეს, ქეთი მალაზონიას, თამრიკო გორდელაძეს; ექთნებს – მზია ნიკოლაიშვილს, ქეთი ცეცხლაძეს, კობა ჩაფიძეს, „ალფას“ მთელ პერსონალს, ვინც შემინარჩუნა სიცოცხლე!

სიმონ ახალაძე,

სოფელი ქვედა ბახვი

წმინდა სოფიოს ხსენების დღე ბოხვაურში

30 სექტემბერს განსაკუთრებულად აღინიშნა წმინდა სოფიოს ხსენების დღე სოფელ ბოხვაურის ტაძარში, რომელიც სწორედ ამ წმინდანის სახელობისაა.

დღესასწაულზე, წირვა აღავლინა მეუფე მამა იოსებმა. დალოცა მრევლი, პირადად ამ ტაძრისა და სრულიად ყველა ტაძრის აღმშენებლები. ისაუბრა იმის შესახებ, რომ ქვეყნად არსებობს მრავალგვარი სიყვარული, მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული მხოლოდ უფლისა და მოყვასის სიყვარულია.

ქადაგება განაგრძო ამ ტაძრის მოძღვარმა მამა ბასილმა, რომელმაც საინტერესოდ მოგვითხრო წმიდა სოფიოსა და მისი შვილების, პისტის, ელპიდისა და აღაპის სარწმუნოებისადმი თავგანწირვის შესახებ, თუ როგორ აწამეს პატარა ქალიშვილები საკუთარი დედის თვალწინ. მათგან ქრისტიანობის უარყოფას და კერპებისადმი თაყვანისცემას მოითხოვდნენ.

ჯერ ტკბილი სიტყვით ეცადნენ მათ გადაბირებას, ხოლო შემდეგ სასტიკად გაუსწორდნენ. ერთ მათგანს ძუძუ მოსჭრეს და სწორედ ამ დროს მოხდა სასწაული, სისხლის მაგივრად ჭრილობიდან რძე გადმოდინდა. გამწარებული დედა ხედავდა შვილების ტანჯვას და თვითონაც იტანჯებოდა. გულში კი სიამაყეს გრძნობდა და უხაროდა, რომ, მიუხედავად ასეთი წამებისა, მისი შვილები ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ ქრისტეს სჯულისა. როდესაც სამივე აღესრულა, დედამ მათი ნაწამები სხეულის ნაწილები აკრიფა, ტომრით წაიღო და ერთ-ერთ ქრისტიანულ ტაძარში დაასვენა, შემდეგ კი საეკლესიო წესების სრული დაცვით დაასაფლავებინა. ორი დღის შემდეგ ისიც გარდაიცვალა.

ამ წმინდანთა მადლ არ მოკლებოდეს საქართველოში მოქმედ ყველა ეკლესიას და მის მრევლს.

ნანა ჯანხოთელი.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

რობერტ ოპენჰაიმერი (19-04-1967). 1925-1927 წლებში ოპენჰაიმერი სწავლობდა კემბრიჯში რეზერფორდის ხელმძღვანელობით, ასევე გოტინგენში – ნილს ბორთან და მაქს ბორნთან, სადაც დოქტორის წოდება მიიღო. 1942 წელს ის გახდა „მანჰეტენის პროექტის“ დირექტორი, რაც გულისხმობდა აშშ-ბრიტანეთის მცდელობას, შეექმნათ ატომური ბომბი. 1945 წელს, მას შემდეგ, რაც ბომბი გამოიყენეს ხიროსიმასა და ნაგასაკში. ოპენჰაიმერი გადადგა თანამდებობიდან. „სიკვდილად, სამყაროს დამანგრეველად ვიქეცი“, – ასეთი იყო რობერტ ოპენჰაიმერის სიტყვები „ბაგავადგიტადან“, როდესაც დინახა ატომური ბომბის პირველი გამოცდა, რამაც მძიმე ტვირთი დადო ბევრ მეცნიერს მეორე მსოფლიო ომის დროს. 1945 წლის 16 ივლისი იყო ოპენჰაიმერის გუნდის სამწლიანი მუშაობის კულმინაციის თარიღი – ერთი მხრივ, ეს ვგვუფი მუშაობდა თავისი სფეროს მოწინავე ხაზზე.

„მანჰეტენის პროექტის“ წამოწყებას სტიმული მისცა აინშტაინის მერ პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტისადმი გაგზავნილმა წერილმა, რაც ნაცისტების მიერ ატომურ ბომბზე წარმატებული მუშაობით ემუქრებოდა სამყაროს.

ამდენად მოკავშირეებს უნდა დაესწროთ ბირთვული კვლევების დარგში ნაცისტებისათვის. ამიტომ 1943 წელს ოპენჰაიმერი დანიშნა მეცნიერთა გუნდის ხელმძღვანელად ლოს-ალამოში, ნიუ-მექსიკაში.

ევროპიდან აშშ-ში მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის ფიზიკოსი გაიქცა, ბებერ კონტინენტზე არსებული ტირანიის გამო. ოპენჰაიმერმა ეს შესაძლებლობა გამოიყენა, ადგილობრივ ტალანტებთან ერთად ამერიკას მიაშურა. მეცნიერმა თავის თავზე აიღო გუნდის წარმმართველის და მისთვის მოტივაციის მიმცემის საპასუხისმგებლო როლი.

ომის შემდგომ პერიოდში ოპენჰაიმერის გუნდს დაევალა უფრო დამანგრეველი წყალბადის ბომბის შექმნა, რაზედაც არ დათანხმდა. ამიტომ მს ბრალი დასდეს სსრკ-თან თანამშრომლობაზე და დაიწყეს საქმის გამოძიება, მაგრამ ვერაფერი დაუტკიცეს და ოპენჰაიმერი გადარჩა ანგარიშსწორებას.

რობერტ ოპენჰაიმერმა და ედუარდ ტელერმა გვიჩვენეს, რომ მეცნიერული მეთოდები, კვლევის მეთოდის მიუხედავად, უნდა ყოფილიყო მოუკერძოებელი და მეცნიერი უნდა მოქმედებს პერსონალური მორალითა და პოლიტიკური მრწამსით.

სერ ფრენკ უიტლი (1907-1996). ძმებმა რაიტებმა 1903 წელს კაცობრიობას აეროპლანი მისცეს და მსოფლიოც უფრო პატარა გახდა. პროპელერით მოძრავი თვითმფრინავის შექმნით, ათეული წლების განმავლობაში საჰაერო მოგზაურობა ვერ კიდევ შორს იყო იმ გლობალური ინდუსტრიისაგან, რომელიც დღეს ადვილებს ცხოვრებას და დასვენებას, რაც შეუძლებელი იყო ასი წლის წინათ. ამის მიღწევას სჭირდებოდა სხვა სტილის ძრავა.

უიტლი მიხვდა, რომ საჭირო იყო ისეთი თვითმფრინავი, რომელიც უფრო სწრაფად იფრენდა და ბევრად მაღლა ავიდოდა.

უიტლიმ შექმნა ასეთი თვითმფრინავი, რომელიც 1941 წლის 15 მაისს პირველად გაფრინდა. მან დაამტკიცა დიდი პოტენცია და განავითარა მაქსიმალური სიჩქარე –370 მილი საათში და ავიდა 25 000 ფუტის სიმაღლეზე.

1948 წელს უიტლის რაინდის წოდება მიენიჭა.



ედუარდ ტელერი (1908-3003). ტელერმა 1952 წელს აფეთქა მსოფლიოში პირველი წყალბადის ბომბი. 1982-1983 წლებში მუშაობდა მრჩევლად რეიგანის ადმინისტრაციაში, სტრატეგიული თავდაცვის სისტემის (ვარსკვლავური ომები) სფეროში.

ცოტა რამ თუ შეძრავდა მსოფლიო აზროვნებას ისე, როგორც 1945 წელს ატომური ბომბების აფეთქება იაპონიასში – ხიროსიმასა და ნაგასაკში. ორმა აფეთქებამ ადამიანების უდიდესი ნაწილი დაარწმუნა, რომ კაცობრიობას ახლა უკვე შესწავს უნარი საკუთარი თავის განადგურებისა.

როდესაც 1952 წელს აშშ-მ წყალბადის ბომბი გამოსცადა, ამ ახალი იარაღის ფსიქოლოგიური ზეგავლენა არ იყო იმდენად მძლავრი. თუმცა ფიზიკური ეფექტი უზარმაზარი აღმოჩნდა. ის იყო ბომბი, რომლის პოტენციალი ათჯერ, ასჯერ და ათასჯერაც აღემატებოდა ატომურ ვერსიას.

ამ ახალი დამანგრეველი ტექნოლოგიის ერთ-ერთი დამცველი, ჯერ კიდევ ატომური ბომბის პროექტის დასრულებამდე, იყო ედუარდ ტელერი. იგი წყალბადის თერმობირთვული ბომბის შექმნის იდეის დასაცავად გამოდიოდა. ატომური ბომბი მოქმედებდა მძიმე ურანის ბირთვის გახლეჩით, მეორე კი წყალბადის ჰელიუმად გარდაქმნით და მისი გამოტყორცნით.

მასალები მოამზადა

გურამ ცერცვაძემ.

სკანვორდი



№36-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - სკარლეტ იოჰანსონი; ხერხის გამომგონებელი – დედალოსი; ეთიოპიის დედაქალაქი – ადისაბება; ჩრდილოეთის ირემი – ლოსი; აბრეშუმის ქსოვილი – ატლასი; ... მარშანია - ადა; შეძახილი ცეკვაში – ასსა; ნორვეგიის დედაქალაქი – ოსლო; ძეხვეული – სოსისი; მოხარშული ალკოჰოლიანი სასმელი – ლუდი; სოფელი სამეგრელოში – ლია; სტალინის ბავშვობის სახელი – სოსო; ბანგლადეშის ფულის ერთეული – ტაკა; ფრინველი – კოდალა; შემოწმება – რევიზია; წარწერა თამასუქზე – ავისტა; პირველი ასობგერა – ა; უხარისხო ტყავი – მეში; მყრალი სურდო – ოზენა; სიარულის უნარის დაკარგვა – აბაზია; მწვანილი – ომბალო; ცელოფანის გამომგონებელი – ბრანდალი; სახელმწიფო – იემენი; კედლის სანათი – ბრა; პირველი სამნიშნა რიცხვი – ასი; სიზმარი – ზმანება; ბალახეულის სახურავი – ისლი; კავშირი – და. ღომის საზომი – ლიჯი; თვალის დაავადება – გლაუკომა; მცირე ზომის ნავი – სანდალი; ლიტ. ნაწარმოები – ესე.

გუბაზ მეფის სასახლე მდინარე გუბაზეულის პირას



გუბაზი ერთ დროს დასავლეთ საქართველოს დიდი მეფე გახლდათ. ის ახალი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ზეობდა და მაშინდელ ურთულეს ვითარებაში დიდ გონიერებას და წინდახედულებას იჩენდა.

იმ დროს დასავლეთ საქართველოს ქართველები ეგრისს უწოდებდნენ, ბიზანტილელები კი – ლაზეთს (ლაზიკას).

ეგრისი (ზან. ერგისი) საგეოგრაფო სახელი გახლდათ, ხოლო ლაზეთი – სანათესავო (სატომო).

არც უფრო ძველი სახელი (საზანო) იყო მაშინ დავიწყებული (ამ სახელმა დღემდე შემოინახა თავი ერთი იმერული სოფლის სახელში. არავითარ წერილობით ცნობას ამ სახელზე ჩვენამდე არ მოუღწევია და მხოლოდ ხალხური გადმოცემით ვცდილობთ სინამდვილის დადგენას.

გუბაზეულის ხეობა და მთელი ზემო გურიაც იმ დროს, როდესაც გუბაზი მეფობდა, მის სამფლობელოში შედიოდა და არც ისე გასაკვირი უნდა იყოს, თუ სუფსისა და გუბაზეულის შესაყარში მეფეს სასახლე ჰქონოდა.

საამისო გადმოცემას ემყარებოდა დიდი ნიკო მარის (1864-1934) ერთგული მოწაფე, პროფესორი იოსებ მეგრელიძე, რომელიც ნდობით ეკიდებოდა მას და ფიქრობდა, რომ შეიძლება მართალიც იყო ეს ისტორიული გადმოცემა.

ჩვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაგვაინტერესა ბატონი პროფესორის ასეთმა ვარაუდმა და ვცადეთ ეს ვარაუდი ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევითაც გაგვემყარებინა,. მოვიარეთ ის ადგილი, სადაც მეფის სასახლე ივარაუდებოდა და ამანაც რამდენადმე წაგვწია წინ.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ეს ადგილი. ამ სამოთხისებურ მიდამოს მართლაც შეიძლება მიეპყრო მეფის ყურადღება.

ამ ადგილისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლაც, ვფიქრობთ, არ ჩაივლის უქმად და შეიძლება ისეთი ძეგლებიც გამოვლინდეს, რომელსაც დღეს არავინ ელოდება.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბენია (ბენიამინ) ჩხიკვიშვილი.

(გაგრძელება, დასაწყისი №39)

და მისი წარმატების სურვილით“- გადმოგვცემს პროფესორი იური სიხარულიძე..... 1921 წლის მარტში, როდესაც ეროვნული არმიის ნაწილები მედგარ ბრძოლებით უკან იხევდნენ და სურამის უღელტეხილი დატოვეს, ბენია ჩხიკვიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის (ნოე რამიშვილი)“ ამხანაგად“ (მოადგილედ) დაინიშნა. პროფ. იური სიხარულიძე აღნიშნავს: “ზედმეტი სიფიცხე ზოგჯერ უსასრულობაში აგდებდა, მაგრამყველა ხედავდა,რომ ეს პიროვნული სისუსტე სრულებით ვერ ჩრდილავდა, იმ შესანიშნავ თვისებებს, როგორიც იყო დიდი ორგანიზატორული ნიჭი, პრინციპულობა, ბრწყინვალე მჭერმეტყველება და ბევრი სხვა ,ამ თვისებების გამოა, რომ მას ყოველთვის მაღალი თანამდებობები ეკავა და არსად თავი არ შეურცხვენიაშინაგან საქმეთა სამინისტროში მინისტრის“ ამხანაგის“ თანამდებობაც ღირსეულად დაიმსახურა, ბენია ჩხიკვიშვილი, ჟამის შესაბამისად მინისტრის უსავარძლო „ამხანაგი იყო, რომელიც გზასა და ქუჩაში იღწვოდა. სურამის უღელტეხილიდან ქუთაისამდე და შემდგომში ერთხანს მინისტრი და მისი „ამხანაგი“ ერთად მიეშურებოდნენ’ხოლო საჯვახოს მათი გზები გაიყო,ნოე ჩოხატაურს წავიდა ,მას მთავარი ტრასის გაკონტროლება დაევალა,სამუშაო ზღვისპირეთშიც დიდი იყო....“(იური სიხარულიძე“ნოე რამიშვილი“ თბ. 2006წ. გვ.74-75).

გასაბჭოების შემდეგ ბენია ჩხიკვიშვილს მოუხვდა საქართველოს დატოვება ,ერთხანს პარიზში ცხოვრობდა შემდეგ ლევილში და იქედან მონაწილეობდა მთავრობისა და პარტიის საქმიანობაში, ემიგრანტული მთავრობა იმ დროიდან ძირითადა საქართველოში მიმდინარე მოვლენაზე იყო გადართული იგი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალ-ყურს აქაურ ამბებს. პარიზელი ქართველი პოლიტიკოსებისათვის თავზარდამცემი იყო 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების მეთაურთა და აქტიურ მონაწილეთა შეპყრობა და დახვრეტა. დიდი მსხვერპლი მოჰყვა საკადრო ბატალიონის სამხედრო კომისრის ალექსანდრე ობოლაძის მკვლელობას გურიაში1923 წლის თებერვალში. კიდევ უფრო მძიმე იყო იმავე წლის მარტის დაპატიმრებანი,როდესაც ეროვნული ძალების წამყვანი სამხედრო პირები გენერლები - ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე აფხაზი და ვარდენ წულუკიძე დაკარგეს. (იური სიხარულიძე).მოგვიანებით იმავე წლის ნოემბერში ნოე ხომერიკიც შეიპყრეს, რომელიც 1922 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა საქართველოში და მისი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ერთგვარად სული ჩაუდგა და იმედის ნაპერწკალი გაუჩინა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. ნ.ხომერიკის ჩამოცილება დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი ძალების დიდი დანაკლისი იყო,რაც მთელმა ემიგრაციამ მწვავედ განიცადა და ამას გულგრილად ვერც ბენია ჩხიკვიშვილი შეხვდებოდა.ასეთი უმძიმესი მდგომარეობა იყო საქართველოში, როდესაც პარტიის ცენრალურმა კომიტეტმა ბენია ჩხიკვიშვილის სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა .იგი ჯერ კიდევ არ იყო გამოჯამრთელებული ავადმყოფობიდან.

1924 წლის მაისში ბენია ჩხიკვიშვილი უკვე თბილისში იყო და ჩვეული ენერგიულობით მუშაობდა ,მაგრამ სულ ორიოდე თვე დასცალდა ,, ,იგი 25 ივლისს დააპატიმრეს ავჯანყების რამდენიმე ხელმძღვანელთან ერთად, ნოე ხომერითან, გოგიტა ფაღავასთან,გიორგი წინამძღვრიშვილთან, ვასო ნოდიასთან და სხვებთან სუზდალის საპყრობლეში ჩასვეს ,შემდეგ საქართველოში გამოამგზავრეს და სადღაც რუსეთის ტერიტორიაზე დახვრიტეს კიდეც“ (,გურამ შარაძე ,+“ უცხოეთის ცის ქვეშ“ თბ. 1993წ. გვ.110-111) როგორც ამბობენ, ისინი ვაჟკაცურად შეხვდნენ სიკვდილს.

„გურიის ექსპერიმენტმა მთელი რუსული რევოლუციური მოძრაობა აალაპარაკა ,ლევ ტოლსტოიმ გურულებს“. რუსული რევოლუციის ავანგარდი უწოდა“ლენინი კი გურულების „ბუნტს“უმაღლეს შეფასებას აძლევდა და გურიის სახალხო ავჯანყების ერთ-ერთ უმნიშვნოვანეს კერად მიაჩნდა.დაპატიმრებულ გურულ რევოლუციონერებს განსაკუთრებული პატივი და მოწონება ჰქონდათ ციხეებსა და გადასახლებებში,“ყველას აინტერესებდა რა ხდებოდა,რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის დაუჯერებელი იყო, რომ გლეხებს შეეძლოთ სოციალ-ემოკრატიული იდეოლოგიის აღქმა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმა .სოციალ-რევოლუციონერებს,მართალია სწამდათ გლეხთა რევოლუციონერობის, მაგრამ ვერ წარმოედგინათ,რომ გლეხობა გაჰყვებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ,მუშათა პარტიას“- წერდა გ ქიქოძე. (გ. ქიქოძე, თანამედროვის ჩანაწერები,2005 წ.გვ.65).

მალე 110 წელი შესრულდება ნასაკირალის გმირული ეპოპეიიდან. პოეტებმა ნასაკირალს მონობის ტახტთან დაჭიდებული ულკანი უწოდა ახლა უკვე დამშვიდებული.ერთ დროს ამ დამშიდებულ ადგილზე ოზურგეთელებმა გმირი გურულების პატივსაცემად ობელისკი აღმართეს,ხოლო ცხავათას მთაზე მემორიალყრი მუზეუმი ეთნოგრაფიული ეზოთი და სასტუმროთ,ყველაფერი ეს,როგოც ვიცი მაშიდელი ძიმითის კოოლმეურნეობას ეკუთნოდა. ახლა არც კოლმეურნეობაა და არც მუზეუმი. გასულ წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა აღადგინა ობელისკი. სასურველია მუზეუმის აღდგენაც.ერთი თხოვნა გვექნება ქალაქ ოზურგეთის მერიის შესაბამის სამსახურთან,იქნებ მოხერხდეს და აღდგენილ იქნას 1905 წლის ქუჩის სახელი,რადგან,როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, აღნიშნული ქუჩა მთლიანად იქნა გადამწვარი, ცნობილია,რომ ცეცხლში ჩვილ ბავშვებსაც კი ყრიდნენ მათი მშობლების თვალწინ. ეს საშინელი ტრაგედია არ უნდა იქნას დავიწყებული და იმ ადამიანებს,რომლებიც შეეწირენ ამ საქმეს, მომავალი თაობები ვალდებულია ღირსეული პატივი მიაგოს მათ ნათელ ხსოვნას. საქართველოს დიდებული მეფის და წმინდანად შერაცხული-დავით აღმაშენებლის სახელი კი ოზურგეთის ნებისმიერ ქუჩას დაამშვენებდა.

მანანა ლომაძე
-ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფოდების მთავარი მცველი.

ხსოვნა

მაყვალა ჟღენტის გახსენება

10 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა ჩვენო მაყვალა. წელს პირველად იგი უშენოდ აღინიშნება. გილოცავთ! თითქოს გუშინ იყო, ჩვენს შორის რომ ტრიალებდი. დაფუსფუსებდი, უხვად გვაძლევდი შენეულ სითბოს, სიკეთეს, ერთგულების მაგალითს, სიყვარულის ხიბლს. დრო მეტეორივით გაფრინდა და თან გაგიყოლა, მაგრამ მოგონებებში მკვიდრად დარჩი და მას ვერაფერი შეეხება. ცხოვრების რთული, მაგრამ შინაარსიანი გზა განვლე. ნიჭიერებით გამორჩეული, პირნათლად იხდიდი ვალს შენი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, ხალხის წინაშე და ჩვენ ვამაყობდით შენით. გამბედაობით გამორჩეულს, ბოლო დროს რატომღაც უიმედობამ, გულგატეხილობამ დაგრია ხელი. ეს ჩვენი, შენი მეგობრების ბრალიცაა. ალბათ ყურადღება მოგაკელით, გვერდით ვერ დაგიდექით, როცა ეს, ასე უსაშველოდ გჭირდებოდა თურემე და, საუბედუროდ, მარტოობამ გაგაკეთებინა ის, რაც გააკეთე. გამორჩეული იყავი და სიკვდილიც ასეთი აირჩიე. ამბობენ დროს ყველაფერი მიაქვსო, ალბათ ასეა, მაგრამ შენს დავიწყებას ჩვენ ვერ შევძლებთ. შენ ცოცხლობ შენს ერთა გიორგიში, შენს ლამაზ შვილიშვილებში, შენს მეგობრებში, ჩვენში და ასე იქნება დიდხანს. შენ უზომოდ აკლიხარ შენს საყვარელ სოფელს, რაიონს, ასე რუდუნებით რომ ხელმძღვანელობდი. შენ გვაკლიხარ ჩვენ, შენს მეგობრებს და ვერაფერი შეგვივსებს უშენობას. გვენატრები, ძალიან გვენატრები, მაგრამ რეალობას რა ვუყოთ. დაე უფალმა სამუდამო განსასვენებელში არ მოგაკლოს მადლი და შემწეობა. ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

მეგობრების სახელით:
ლონდა, ლამარა დოლიძეები, მზევინარ სალუქვაძე, იზო გოგელია, დათო თოდრია.

ერთი უბრალო, პატარა კაცი



ასე იცნობენ სოფელ ბაილეთში კაკო გაგუას და მან ეს აღიარება მართლაც კაცურკაცობით, სიყვარულით, საზოგადოებასთან ურთიერთობით,პატიოსნებით და სიკეთის თესვით დაიმსახურა.

იგი შრომისმოყვარეობითა და სტუმართმოყვარეობით ცნობილ ქალბატონ მარო და ბატონ გრიგოლ გაგუების ოჯახში დაიბადა, რის გამოც შრომისმოყვარეობა და სიბეჯითე თა-ვიდანვე დაჰყვა საგზლად. ჯერ კიდევ 8-9 წლისა აქტიურად ეხმარებოდა მშობლებს ჩაის კრეფვის, ერთწლიანი კულტურების დამუშავებისა და სხვა საქმეებში.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური, დაბრუნდა სახლში და კიდეც დაოჯახდა. თავისი ბედი დაუკავშირა მამთელ ახალგაზრდას დოდო ქართველიშვილს. მათ სამი შვილი შეეძინათ. ეს იყო სიხარულის, სიყვარულის, წარმატებების წლები. ახალგაზრდა მეუღლეები, როგორც იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამდნენ დღედაღამეს ასწორებდნენ – ჩაის ფაბრიკაში მუშაობდნენ, გამოთავისუფლების შემდეგ კი, ჩაის კრეფდნენ, უხაროდათ, მაგრამ ეს სიხარული მალე გაქრა, გარდაიცვალა ქალბატონი დოდო, დარჩა მარტოდმარტო კაკო სამი პატარათი. გული არ გაუტეხია, შვილებისთვის დედაც იყო და მამაც. ბავშვები სბავშვო ბაღში დაჰყავდა და ასე ახერხებდა მუშაობას.

მიუხედავად ასეთი რთული პირ-ობებისა, პატიოსნად აღზარდა შვილები. უფროსი, გია ცხოვრობს და მუშაობს ფოთში, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, სამი შვილი და ერთი შვი-ლიშვილი; მომდევნო – ნუკრი მამა-სთან ცხოვრობს სოფელში და ერთად მუშაობენ საოჯახო თუ სხვა საქმე-ებში; უმცროსმა, ამირანმა უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო და მრავალი წელია სპეციალობით მუშ-აობს ბათუმში.

მესამე წელია ბატონმა კაკომ, მეზობლების თხოვნით, ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე მაღაზია გახსნა, ხელმისაწვდომ ფასებში შე-მოაქვს პროდუქტები, რის გამოც თა-ნასოფლელები ემადლიერებიან. ვუს-ურვებთ ბატონ კაკოს დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სოფლის მოსახლეობის კეთილშო-ბილურ სამსახურში.

ამირან მამულაიშვილი,
სწავლული აგრონომი, ჟურნალისტი.

განცხადება

ქირავდება, იყიდება გრიბოედოვის ქ. №21-ში I სართულზე 90 კვ. მ ფართის საცხოვრებელი სახლი, რომელიც გამოიყენება კომერციულ საჭიროებისთვის და საოფისედ.

ტელ. 599 587 532.

სანადირო იარაღის მარკირება და ნომერაცია, კლასიფიკაცია და შეფასება

(გაგრძელება, დასაწყისი № 37)

ადრე ასეთი აბსოლიტური მსგავსება განპირობებული იყო იმით, რომ მსროლელს არ უნდა ეგრძნო არანაირი განსხვავება პირველ და მეორე ნომერს შორის მათი სწრაფი მონაცვლეობის დროს(როგორც წესი მეორე ნომერ თოფს ტენიდა და აწვდიდა მსროლელს მისი ასისტენტი).

ადვილი მისახვედრია, რომ ორი აბსოლუტურად იდენტური იარაღის წარმოება გაცილებით რთულია, ვიდრე უბრალოდ ორი თოფის გაკეთება. აქედან გამომდინარე ტყუპები დაახლოებით მეოთხედით ძვირია ვიდრე ორი ანალოგიურ თოფი. ტყუპების ყიდვა მხოლოდ შეძლებულ კლიენტებს ძალუძთ.

როგორც აღვნიშნეთ, ტყუპებს აბსოლუტური იდენტობა ახასიათებთ. ასეთი თოფები კლასიკური წყვილია.

გარდა ამისა არსებობს არაკლასიკური ტყუპები. ისინი სხვა ყველა მაჩვენებლით(ყალიბი, სიგრძე, წონა, სასხლეტ კავზე დაწოლის ძალა, გრავირება და ა.შ.) იდენტურია, მხოლოდ არაკლასიკურ ტყუპებში ლულათა ჩოკური შევიწროებანი სხვადასხვაა (მაგალითად, ცილინდრი-ცილინდრი და სრული ჩოკი-სრული ჩოკი; ან რომელიმე სხვა დაწყვილება). აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ტყუპის პირველი ნომერი განკუთვნილია ძაღლით ფრინველზე სანადიროდ, ხოლო მეორე ნომერი განკუთვნილია შორეული გასროლებისათვის ფრინველზე ან ცხოველზე.

არაკლასიკური ტყუპები არ უნდა აგვერიოს რამდენიმეცალიან გარნიტურებში. მაგალითად გვხვდება თოფები 2-3-4 ან ზოგჯერ 5 ცალიანი კომპლექტებით, რომლებიც სხვადასხვა ყალიბის ან სხვადასხვა წონის ან სხვადასხვა მახასიათებლების მქონენი არიან. ასეთი ნაკეთობები ერთ ქეისშიც რომ იყოს განთავსებული, მაინც არ არიან ტყუპები, ისინი მხოლოდ ერთი გარნიტურის თოფებს წარმოადგენენ.

ხაზგასმით აღვნიშნავ–არაკლასიკური ტყუპების (არაფერს ვამბობ კლასიკურ ტყუპებზე) ერთადერთი განსხვავება ლულათა შევიწროებაა.

რა მდგომარეობაშია იარაღი? როგორ შევაფასოთ თოფი?

მთავარი თეზისი იარაღის შეფასებისას არის შემდეგი: ღირებულება მცდარია, თუ თოფის მდგომარეობა შეცდომითაა შეფასებული.

ბოლო პერიოდში გაჩნდა ტენდენცია რესტავრირება ისე გაუკეთდეს იარაღს, რომ ის გავდეს არა აღდგენილ, არამედ რესტავრაციაგაუვლელ ნაკეთობას. უფრო მეტიც– სრულიად ახალ თოფს ისე „ძველებენ", რომ ზოგჯერ ექსპერტებსაც კი უჭირთ გარჩევა. ასეთი ნაკეთობის დათვალიერებისას უნდა დავაკვირდეთ სერიულ ნომერს, რომელიც უცილობლად მოგვცემს ინფორმაციას გამოშვების პერიოდის შესახებ.

კლიენტის სურვილისამებრ, რესტავრატორები აღდგენენ 90%-ით, 95%-ით, 98%-ით და ა.შ. მაგრამ ხაზგასასმელია, რომ თავდაპირველი აღდგენა ხდება 100%-ით, ხოლო შემდეგ პოლირების, გაწმენდის, ქიმიური დამუშავებისა და სხვა მეთოდებით ხდება მათი „დაძველება".

თოფის მდგომარეობის დადგენა საჭირო საქმეს წარმოადგენს. უნდა გვახსოვდეს, რომ ექსპლოატაციის გარეშეც, მხოლოდ წმენდისა და შენახვის პირობებშიც კი, გარკვეული დროის შემდეგ, თოფი თავისი პირვანდელი სახის 96-98%-ს ინარჩუნებს.

RA(National Rifle Association of America) სტანდარტის მიხედვით თოფი შეიძლება იყოს შემდეგ მდგომარეობაში:

ა) ახალი– ქარხნულ მდგომარეობაში(მაღაზიამდე);

ბ) სრულყოფილი– ახალ მდგომარეობაში ყველა ასპექტით(მაღაზიის მდგომარეობა);

გ) ბრწყინვალე– ახალ მდგომარეობაში, არანაირი ნაკაწრითა ან სხვა დეფექტით;

დ) ძალიან კარგი– კარგ მუშა მდგომარეობაში, არანაირი კოროზიის ნიშნით;

ე) დამაკმაყოფილებელი– უსაფრთხო მდგომარეობაში, გარკვეული ცვეთით. შესაძლებელია გამოსაცვლელი ჰქონდეს ნაკლებმნიშვნელოვანი ნაწილები ან იყოს დასარეგულირებელი. შეიძლება ლულის შიდა ზედაპირს ჰქონდეს მცირე ცვეთის კვალი, რომელიც არ ახდენს გავლენას უსაფრთხოებასა და ფუნქციონირებაზე.

RA სტანდარტის მიხედვით ანტიკვარიატისა და

ძველი თოფების მდგომარეობა არის:

ა) ქარხნულად ახალი– ყველა დეტალი ორიგინალი, 100% ქარხნული გრავირება, ბრწყინვალე მდგომარეობაში ყველა ასპექტით(გარედან- შიგნიდან);

ბ) ბრწყინვალე– ყველა დეტალი ორიგინალი, 80%-ზე მეტი ქარხნული გრავირება(დამღები, ნომრები, წარწერები), დაუზიანებელი ხე და ლულები;

გ) საუკეთესო– ყველა დეტალი ორიგინალი, 30%-ზე მეტი ქარხნული გრავირება, წარწერები მკვეთრი, უმნიშვნელო ნაკაწრები ხეზე, კარგი ლულები;

დ) ძალიან კარგი–ყველა დეტალი ორიგინალი, 30%-ის ფარგლებში ქარხნული გრავირება, თვალნათელი წარწერები, ხე დაკაწრული (შესაძლებელია ბზარიც). ლულები არასასურველი(და არა უვარგისი) საექსპლოატაციოდ;

ე) კარგი– ნაკლებმნიშვნელოვანი დეტალები შენაცვლელი, ლითონი მსუბუქად კოროზირებული, ჟანგისაგან გაწმენდილი ან აღდგენილი ოქსიდირებით. ძირითადი წარწერები და დამღები მკვეთრი, ხის ნაწილები აღნადგენი, ნაკაწრებით, ბზარებით. მუშა მდგომარეობაში;

ვ) დამაკმაყოფილებელი– ზოგიერთი დეტალი შენაცვლელი, შესაძლებელია ითხოვდეს რემონტს, ლითონი კოროზირებული, მეტალისა და ხის კიდურა ნაწილები ნაცვეთი(დამრგვალებული). წარწერა, დამღები და ა.შ. წაშლილი.

ზ ცუდი– მთავარი და ნაკლებმნიშვნელოვანი ნაწილები შენაცვლელი. აუცილებელია რემონტი. ლითონი მკვეთრად კოროზირებული. ხე გატეხილი. მექანიკურად უმოქმედო.

ავტომობილები განვადებით

ავტომობილების განვადება 6-დან 36 თვემდე 2%-ში. დაზღვევით ნებისმიერი ავტომობილი ამერიკის და იაპონიის აუქციონებიდან, ფელი შეზღუდული არ არის, მოქმედებს შიდა უპროცენტო განვადება 3 თვით + გაცვლა. გარანტიით, საკმაოდ დაბალი ფასები.

ტელ. 595 11 10 30; ზურა, 598 47 47 03 დათო.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.

(რ)

ანეკდოტები

– უკანასკნელად გეუბნები: დამიბრუნე ის 100 დოლარი, ექვსი თვის წინ რომ გასესხე!

– კიდევ კარგი, უკანასკნელად რომ მეუბნები, თორემ დამაწყდა უკვე ნერვები!

XXX

– შენს ქმარს გული ისევ აწუხებს?

– არა, ექიმმა რაღაც წამალი გამოუწერა და იმას სვამდა.

– ესე იგი, მორჩა?

– არა, გარდაიცვალა!

XXX

სვანს აჩერებს ინსპექტორი:

– რატომ გადააჭარბეთ საათში 80 კმ სიჩქარეს?!

– რის საათში, რა საათში?! ჯერ მხოლოდ 15 წუთია, რაც მანქანა ადგილიდან დავძარი.

XXX

როცა სახლში ხანძარი გაჩნდა, თავგამოდებით შევვარდი შიგ და ჩემი სიდედრი გამოვიყვანე.

– ჰო, ასეთ დროს მართლა ებნევა ხოლმე კაცს თავგზა.

XXX

ბიჭუნა მამასთან მივიდა და ეუბნება: მამიკო, დახუჭე რა, თვალები.

– რატომ?

– დედიკომ თქვა, როცა მამაშენი თვალებს დახუჭავს, ჩვენი ცხოვრება უფრო საამური გახდებაო!

XXX

– გუშინ სამსახურში ძალიან პრინციპულად მოვითხოვე სამართლიანობა.

– მერე რა შედეგს მიაღწიე?

– დღეს უკვე სამსახურს ვეძებ.

როლანდ თავაძე

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +15+24	წვიმა +15+20	წვიმა +13+17	წვიმა +8+17	მზე +16+23	მზე +17+25	მზე, ღრუბელი +17+26
12 ოქტომბერი ორშაბათი	13 ოქტომბერი სამშაბათი	14 ოქტომბერი ოთხშაბათი	15 ოქტომბერი ხუთშაბათი	16 ოქტომბერი პარასკევი	17 ოქტომბერი შაბათი	18 ოქტომბერი კვირა